
ერთი ქილა
ვაშლის
მყოვნა

კლასი V

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

ირენ უოტსის მოთხრობის მიხედვით

მხატვარი – **თინათინ მანია**

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.

ჩვენს სამზარეულოში ხის მაგიდა და სამი სკამი დგას: ერთი – მამაჩემის, ერთი – დედაჩემის, ერთი კი – ჩემი.

სუფრის ერთ ბოლოში დედა ზის. მე ყოველთვის მაგიდის შუაში ვზივარ, დედასა და მამას შორის. ვცდილობ, არ შევხედო მამას ადგილს. იმიტომ რომ მისი ადგილი ცარიელია. მამა ქალაქში წავიდა სამუშაოს საშოვნელად. უკვე დიდი ხნის წასულია.

ყოველ ღამე თვალღია ვწევარ საწოლში და ველოდები მატარებლის გაჩერებას. ველოდები ალაყაფის კარის ჭრიჭინს. ეს კარი მამამ უნდა შეაკეთოს, როდესაც შინ დაბრუნდება. ველოდები მისი სამუშაო ჩექმების ხმაურს, სამზარეულოს კართან დაყრისას რომ მესმის და, ბოლოს, ველოდები მის ხმას:



– მოვედი!..

ყოველ ღამე, როდესაც ვწევარ, დაჟინებით ვუყურებ ფანჯარას და ფარდას, რომელიც დედამ ფქვილის ცარიელი ტომრებისაგან შეკერა.

ყოველ ღამე ჩაიქროლებს მატარებელი, ხმაურობენ სატვირთო ვაგონები, სტვენით მიჰქრიან უკუნეთ ღამეში.

ზოგჯერ მატარებელი ჩერდება – ვიღაცის მამა ბრუნდება შინ, ჩემი – არა, ჯერ არა.

ყოველ საღამოს დედა მოდის, მკოცნის და მშვიდობიან ღამეს მისურვებს. მატარებელი ისევ ჩაიქროლებს. დედაც უსმენს მის ხმას.

– დაიძინე, – მშვიდად მეუბნება ის, – მამა მალე დაბრუნდება.

ხვალ შობაა. როგორ შევხვდებით შობის დღესასწაულს მამას გარეშე?

ყურში ისევ მატარებლის ბორბლების ხმაური ჩამესმის. ვიძინებ და თან ვჩურჩულებ:

– იქნებ ხვალ, იქნებ ხვალ!..

დილით ყავის სურნელი მაღვიძებს. სამზარეულოში შევრბივარ. ნამდვილად მამაა! დაბრუნდა!

მამა გულში მიკრავს, მერე თმას მიჩეჩავს, ბოლოს მხარზე მიტყაპუნებს ხელს:

– შობას გილოცავ! უჰ, როგორ გაზრდილხარ! ცოტა ხანში გამასწრებ კიდეც!

იგი კვლავ ხის მაგიდასთან ჯდება და ყავის სმას აგრძელებს. მე იატაკზე დადებულ ორ ტომარას ვაკვირდები. ერთს აწერია „ფქვილი“, მეორეს – „შაქარი“.

დედა დგება, ცარიელ ჭიქას ნიჟარაში დგამს და ამბობს:

– ვაშლის ღვეზელს გამოვაცხობ, დღეს ხომ შობაა! თან მამას შინ დაბრუნებაც უნდა აღვნიშნოთ. გიო, ჩადი ქვემოთ, სარდაფში! იქ სულ ზედა თაროზე ქილით ვაშლის მურაბა დგას და ამომიტანე!

ამდენი ახსნა რა საჭიროა? ისედაც ვიცი, სად დგას. ეს ხომ თაროზე შემორჩენილი სულ ბოლო ქილაა. ხშირად შევცქეროდი მას, როდესაც დედა მარანში მაგზავნიდა კარტოფილის ან თალგამის ამოსატანად და ნერწყვს ვყლაპავდი მის დანახვაზე.

ორ-ორ საფეხურს ერთდროულად ვახტები და ისე გავრბივარ სარდაფში. ხელიც კი არ დამიკარებია ხის მოაჯირისთვის, რომელიც მამამ დედას თხოვნით შეაკეთა გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ძველი ცოცხის ტარით.

ფეხის წვერებზე ვიწევი და დახუფულ ქილას ფრთხილად ვიღებ. ყურადღებით უნდა ვიყო, რომ არ დამივარდეს.

ზემოდან მამას სიცილი მესმის, დედას ხმაც უერთდება. ალბათ მამა რაღაც სახალისო ისტორიას ჰყვება. მეც მინდა, მათთან ერთად ვიყო სამზარეულოში. სწრაფად ავრბივარ კიბეებზე. მოულოდნელად შიშველი ფეხი საფეხურებს შორის მეჭედება. ხელს განზე ვწევ წონასწორობის შესანარჩუნებლად, მაგრამ წაბორძიკებული ძირს ვეცემი, ქილა თითებს შორის მისხლტის. ოღონდაც გაგორდეს! არ გაგორდა! ქილა იმსხვრევა კლდესავით გაქ-

ვავებულ თიხის იატაკზე. ვაშლის ნაჭრები ყველა მხარეს იფანტება ბრჭყვიალა მინის ნამსხვრევებთან ერთად.

დედას ფეხის ხმა მესმის.

– ხომ არაფერი იტკინე? – მეკითხება და თან ყურადღებით მათვალიერებს, ნაკაწრები ხომ არ მაქვს სადმე.

ვიცი, რაზეც ფიქრობს ახლა იგი. ეს ბოლო ქილა იყო, ერთადერთი, რომელსაც ამდენ ხანს ვინახავდით მამას დაბრუნების აღსანიშნავად. თვეების განმავლობაში ვიყავით ნუგბარის გარეშე, კვირა დღეებშიც კი. „მამა რომ დაბრუნდება, ვაშლის ღვეზელი გვექნება.“ აღარც კი მახსოვდა ღვეზელის გემო. დღეს არის განსაკუთრებული დღე, შობა და მე ეს დღესასწაული გავაფუჭე.

დედა ჩამუხლულია და შუშის ნამსხვრევებს წინსაფარში აგროვებს. მე ცოცხი მომაქვს. იგი ფეხზე დგება და დაგვას იწყებს.

– ადი ზემოთ! კიდევ კარგი, რომ ფეხი არ გაგეჭრა.

მინდა, მიყვიროს, გამიჯავრდეს, მაგრამ ამის მეტს არაფერს ამბობს.

ზემოთ ასულს მამა მხარზე მითათუნებს ხელს.

– არა უშავს, ჩემო ბიჭო, ხდება ხოლმე.

სახეს მამას ძველ, გაცრეცილ პიჯაკში ვმალავ, რომელიც მისი სკამის ზურგზეა გადაკიდებული. თვალწინ მიდგას კილომეტრები, რომლებიც მან გაიარა სამუშაოს საძებნელად. თითქოს ვგრძნობ მატარებლისა და ქალაქის სუნს.

კარგი იქნებოდა, არ მეჩქარა. სხვა დროს უფრო ფრთხილად მოვიქცევი.

დედა სამზარეულოში ბრუნდება. თვალებზე ჩამოყრილ თმას უკან მიწევს.

– თმას მალე შეგაჭრის მამა, – ამბობს ის. მერე ლოყაზე მკოცნის. ვხვდები, რომ კვლავ ვუყვარვარ და კიდევ უფრო მრცხვენია.

– აბა, ახლა კი ორივე გადით სამზარეულოდან, – ამბობს დედა. – დედაჩემის საიდუმლო რეცეპტით შაქრის ნაზუქი უნდა გამოვაცხო. მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აცხობენ და, რაც მთავარია, ვაშლი არ სჭირდება.

– რა კარგია, სულ მინდოდა შაქრის ნაზუქის გასინჯვა, – ღიმილით ამბობს მამა.

სამზარეულოდან გავდივართ. მე მამას ძველი, მოჭრიჭინე ჭიშკრის შეკეთებაში ვეხმარები. მერე ვუჩვენებ ადგილს, სადაც კურდღელი ლამის დავიჭირე. მამა უკანა კარებს მაზომებს და დასაკეცი დანით ახალ ნიშნულს აკეთებს ფიცარზე. მის არყოფნაში მთელი ორი სანტიმეტრით გავიზარდე.

– მამი, სახლში დარჩები?

– ჯერ ვერა, გიო, ცოტა ხნით ისევ მომიწევს წასვლა. ჯერ ცოტა კიდევ უნდა ვიმუშავო, მაგრამ გპირდები, მალე დავბრუნდები და მერე აღარსად აღარ წავალ.

– არ ინერვიულო, შენს ჩამოსვლამდე დედას მე მივხედავ!

– ვიცი, ვიცი! – ღიმილით მეუბნება მამა.

შემდეგ დედა გვეძახის საშობაო ვახშამზე. მე და მამა ხელებს ვიბანთ, სამზარეულოში შევდივართ და სუფრასთან ვსხდებით. დედაც ჯდება. ძლივს! მაგიდასთან ცა-

რიელი სკამი აღარ დგას, სამივე ადგილი დაკავებულია. სუფრაზე სადღესასწაულო სანთლები ციმციმებს...

არ ვიცი, ვაშლის ღვეზელი გაგისინჯავს თუ არა. ალბათ, გაგისინჯავს. ისიც გეცოდინება, როგორი გემო აქვს: მომჟავოა, ფხვიერი და ძალიან გემრიელი! აი, ბებიას საიდუმლო რეცეპტით გაკეთებული შაქრის ღვეზელი კი ნამდვილად არ გექნება გასინჯული. უგემრიელესია, ფაფუკი, ტკბილი და საოცრად ნოყიერი. მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აცხობენ. ჩვენთან სწორედ ასეთი დღეა. შობას აღვნიშნავთ ერთად! ღვეზელის რეცეპტი? არ მკითხო. არ ვიცი. როგორც დედამ თქვა, საიდუმლოა!